ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725171001
თარიღი:20/06/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი N-06

დ. ლენტეხი 18 ივნისი 2025წ.

მიმდინარე წლის 18 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომას ესწრება ბიუროს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 5(ხუთი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ განხილული და მომზადებულია საკითხები. მათი მომართვების საფუძველზე ჩამოყალიბდა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურასთვის“ სარგებლობაში ქირავნობის წესით გადაცემაზე.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. **მერიის ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ.**

   /მომხს: მერიის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე /

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდგომარეობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

მოისმინეს: საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა გულივერ გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N-332 განკარგულებით სპეციალური ტრანსფერის სახით ლენტეხის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი) ლარი, სპეცტრანსფერის მთლიანი ჯამი შეადგენს 1500000(ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს, აქედან გამომდინარე ადგილობრივი შემოსავლები შემცირდა 500000(ხუთასი ათასი) ლარით და შეადგენს 712 900 (შვიდასთორმეტი ათას ცხრაასი ლარს). აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით საჭიროა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

1. **გადაწყვიტეს: საკითხი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.**

2. **მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,, თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა ქირავნობის წესით გადასცეს სარგებლობაში შპს ,,კახურას“.**

   მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს მევლუდ ლიპარტელიანმა და დავით პირველმ ა- ქირავნობის ფასზე და ვადაზე.

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად გადასახდელი ქირა იქნება ერთ სამუშაო საათში 40 ლარი, ტექნიკა გადაეცემა სამი თვის ვადით.

   საკითხიდან გამომდინარე თავისი აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა- ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა ვიზრუნოთ საპარგინგე ფართის მოძებნაზე და მოწყობაზე, სადაც განთავსდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტექნიკა, ავტობუსები, ნაგავმზიდი მანქნები და სხვა ტრანსპორტი.

   მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიზემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ამ წინადადებას და ნამდვილად დროულია ამ საკითხის მოგვარება.

   სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

   ღია კენჭისყრის შედეგით:

   მომხრე -13

   წინააღმდეგი -0

   გადაწყვიტეს: საკითხი - ,, თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურასთვის“ ქირავნობის წესით სარგებლობაში გადაცემაზე გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3.მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ. აღნიშნა, რომ მოსახლეობის თხოვნით შეიცვალა რამდენიმე პროექტის დასახელება. (თანხობრივად არ შეცვლილა). ეს პროექტებია.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაბილში ბეტონის საფარიანი გზის და სანიაღვრე არხის მოწყობა;

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხელედში თამარ მეფის სახელობის ეკლეკესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

4. სოფ. მუწდიში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;

5. კურორტ მუაშიდან ზაგარომდე გზის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულება. საერთო ჯამში თანხა შეადგენს 831, 191 ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში შესრულებულია სამუშაოების 30%.

რაც შეეხება პროექტებს:

სოფ . თეკალში წყალსადენის რეაბილიტაცია, დაბა ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობა და ბილიკების მოწყობა,სოფ. თეკალში სკვერის მოწყობა და მუწდიში წყალსადენის მოწყობა დადებულია ტენდერზე. ამავე დროს მან გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ჩავარდა რამდენიმე პროექტი იმ გარემოების გამო, რომ არავინ არ მიიღო მონაწილეობა ტენდერში.

აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარემ - სატენდერო კომისიას ხომ არ გვაქვს ძალიან მკაცრი მოთხოვნები.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველაფერი შეესაბამება კანონმდებლობას.

შეკითხვა დასვა დავით პირველმა: საერთო ჯამში რამდენია პროცენტულად გაფორმებული კონტრაქტები. მომხსენებელმა პასუხად აღნისნა, რომ 70%-ს შეადგენს გაფორმებული კონტრაქტები.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატებს - აქტიური იყოს მათ თემებში და გაუწიოს კონტროლი მიმდინარე სამუშაოებს.

იყო შეკითხვები, მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

4.მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია თემებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდგომარეობის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა კომისიის სხდომა, სხდომაზე დაბარებული იყვნენ რწმუნებულები და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ სოფლებში არის საგანგაშო მდგომარეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებით. გზის გაყოლებაზე წყლის სანაპირებზე არის ნაგავი დაყრილი. აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

აზრი გამოთქვა: ბიუროს წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა - სოფლებში, სადაც უდგება ნაგვის გადამწიდი მანქანა დავამატოთ სანაგვე ურნები. ამავე დროს გამოვიყენოთ სოციალური პროგრამით დასაქმებული პირები, რომ დავასუფთაოთ სანაპიროები.

აზრი გამოთქვა: ბიუროს თავმჯდომარემ ეს საკითხი ისევ უნდა გახდეს კომისიის სამსჯელო, დავიბაროთ დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვაგვაროთ ეს საკითხი.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს **ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია თემებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდგომარეობის თაობაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

5. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

6. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შპს ,,კახურასთვის“ სარგებლობაში ქირავნობის წესით გადაცემაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

ბიუროს სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი